**სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზი**

სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზისთვის მასწავლებლებს ვთავაზობთ სამუშაო ფურცლებს, რომლებიც შეიძლება სწავლების პროცესში გამოიყენონ.

მოგეხსენებათ, წყაროთა ტიპების ანალიზისთვის, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა სხვადასხვა სახის კვლევის ჩატარება. სწორედ ამიტომ გაწვდით ზოგიერთი ტიპის წყაროს ანალიზისთვის განსხვავებულ სამუშაო ფურცლებს. თითო გვერდზე თითო სამუშაო ფურცელია განთავსებული, რაც პედაგოგებსა და მოსწავლეებს ამგვარი სამუშაოს ჩატარებას გაუადვილებს.

# ისტორიული წერილობითი დოკუმენტის ანალიზის სამუშაო ფურცელი

1. <u>დოკუმენტის ტიპი:</u>

O მატიანე
O ოფიციალური დოკუმენტი
O პირადი წერილი
O ინტერნეტგამოცემა
O საერთაშორისო დოკუმენტი
O მხატვრული ნაწარმოები
O მემუარული ნაწარმოები
O სტატია
O მონოგრაფია
O რეფერატი
O ტელეგრამა

2. <u>დოკუმენტის ფიზიკური (გარეგნული) მახასიათებლები:</u>

☐ ნაბეჭდი
☐ ხელნაწერი
☐ ელექტრონული ვერსია
☐ ნახატი
☐ ამოტვიფრული

3. <u>დოკუმენტის შექმნის დრო:</u>

4. <u>დოკუმენტის ავტორი/ავტორები (შემოქმედი):</u>

5. <u>ვისთვის იყო გამიზნული ეს დოკუმენტი:</u>

6. <u>დოკუმენტის ინფორმაცია: (პასუხი შეიძლება სხვადასხვა იყოს)</u>

ა) ჩამოთვალეთ ავტორის სამი მოსაზრება, რომლებიც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ:

ბ) დაასახელეთ დოკუმენტის შექმნის მიზეზი (მოიყვანეთ ციტატა დოკუმენტიდან):

გ) რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ დოკუმენტი? პასუხი დაასაბუთეთ:

დ) დაუსვით ავტორს ისეთი შეკითხვა, რომელსაც, თქვენი აზრით, დოკუმენტი არ პასუხობს:

# არტეფაქტის ანალიზის სამუშაო ფურცელი

1. <u>არტეფაქტის ტიპი:</u>
   მიუთითე მასალა, რომლისგანაც დამზადებულია არტეფაქტი: ლითონი, ძვალი, ხე, ქვა, მინა, ქაღალდი, მუყაო, ბამბა, შალი, ტყავი, თიხა, პლასტიკატი და სხვა.

2. <u>არტეფაქტის ფიზიკური (გარეგნული) მახასიათებლები:</u>
   აღწერე არტეფაქტის დამახასიათებელი ნიშნები: ფორმა (მოყვანილობა), ფერი, ზომა, წონა, ხელით ნაკეთი, ქარხნული წესით დამზადებული და სხვა.

3. <u>არტეფაქტის გამოყენება:</u>
   ა) რისთვის მოიხმარდნენ მას? ---------------------------------------------------------------------------------------

   ბ) ვინ მოიხმარდა? ----------------------------------------------------------------------------------------------------

   გ) სად მოიხმარდნენ? -----------------------------------------------------------------------------------------------

   დ) როდის მოიხმარდნენ? --------------------------------------------------------------------------------------------

4. <u>რას გვეუბნება არტეფაქტი?</u>
   ა) რას გვეუბნება არტეფაქტი იმ ტექნოლოგიების შესახებ, რომლებიც მისი დამზადების პერიოდში

   გამოიყენებოდა?--------------------------------------------------------------------------------------------------------

   ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

   ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

   ბ) რას გვეუბნება არტეფაქტი იმ ეპოქის ადამიანების ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომელშიც ის შეიქმნა? --------

   ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

   ----------------------------------------------------------------------------------------------------------------------

   ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

   გ) დაასახელეთ ამ არტეფაქტის იდენტური საგანი, რომელიც დღეს არსებობს ან ვიყენებთ:----------------------

   ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

   ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

   ----------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## რუკის ანალიზის სამუშაო ფურცელი

1. რუკის ტიპი:

O რელიეფური რუკა
O ტოპოგრაფიული რუკა
O პოლიტიკური რუკა
O კონტურული რუკა
O ბუნებრივი რესურსების რუკა
O სამხედრო რუკა
O არტეფაქტების რუკა
O ისტორიული რუკა
O კოსმოსური ფოტოს რუკა
O გზების რუკა
O კლიმატის რუკა
O სხვა

2. რუკის ფიზიკური მახასიათებლები

☐ ქვეყნის მხარეების აღნიშვნა
☐ ხელნაწერი რუკა
☐ შექმნის დრო
☐ ნომენკლატურა
☐ მასშტაბი
☐ რუკის შემდგენლის ვინაობა
☐ სათაური
☐ ლეგენდა
☐ სხვა

3. რუკის შექმნის დრო

4. რუკის შემდგენლის ვინაობა

5. რუკის დამზადების ადგილი

6. რუკის ინფორმაცია:

ა) დააკვირდით რუკას და ჩამოთვალეთ სამი რამ, რაც, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია ამ რუკაზე:

1.

2.

3.

ბ) თქვენი აზრით, რა მიზნით შეიქმნა ეს რუკა? პასუხი დაასაბუთეთ.

გ) რა დამატებით ინფორმაციას გაწვდით რუკა განსახილველი თემის შესახებ?

დ) რუკაზე მოცემული რა ინფორმაცია ეწინააღმდეგება განსახილველი თემის შესახებ თქვენს ცოდნას?

ე) დაუსვით რუკის შემდგენელს კითხვა, რომელსაც, თქვენი აზრით, რუკა პასუხს არ სცემს:

# კარიკატურის ანალიზის სამუშაო ფურცელი

<table>
<tr>
<td>1. ჩამოწერეთ ობიექტები ან ადამიანები, რომლებიც კარიკატურაზეა გამოსახული:</td>
<td>1. რაზე მიუთითებს კარიკატურის წარწერა და სათაური?<br><br>2. შეარჩიეთ სამი სიტყვა ან ფრაზა, რომლებიც ახასიათებს კარიკატურაზე გამოსახულ ობიექტებსა და ადამიანებს:<br><br>3. დაწერეთ ყველა მნიშვნელოვანი თარიღი ან ციფრი, რომელიც მოცემულია კარიკატურაზე:</td>
</tr>
<tr>
<td>2. თქვენ მიერ ჩამოწერილი ობიექტებიდან რომლები წარმოადგენს სიმბოლოებს?<br><br>3. თქვენი აზრით, რა აღნიშნავს თითოეული სიმბოლო?</td>
<td>4. რომელი სიტყვები ან ფრაზები გეჩვენებათ ყველაზე მნიშვნელოვნად? რატომ?<br><br>5. ჩამოწერეთ ზედსართავი სახელები, რომლებიც, თქვენი აზრით, გამოხატავს კარიკატურით გადმოცემულ ემოციებს:</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">ა) აღწერეთ მოქმედება, რომელიც გადმოცემულია კარიკატურაზე:<br><br>ბ) როგორ გესმით კარიკატურის არსი?<br><br>გ) რომელი სოციალური ჯგუფებისთვის იქნებოდა მისაღები ან მიუღებელი კარიკატურის იდეა? ახსენით, რატომ.</td>
</tr>
</table>